ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 12 03 2020 წ.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბრძანება № 9

COVID 19 ვირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის და დროებითი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოქმედი წესდების მე-5 მუხლის „ე" და „ო" ქვეპუნქტების, საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. COVID 19 ვირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2019-2020 წლის გაზაფხულის სემესტრში სასწავლო პროცესი განხორციელდეს დისტანციური სწავლების რეჟიმში.
2. დისტანციური სწავლება განხორციელდეს ონლაინ პლატფორმის (**Zoom Video Communications, Inc)** მეშვეობით.
3. სემესტრული სასწავლო პროცესი დაიწყოს და დასრულდეს აკადემიური კალენდრით გათვალსიწინებულ ვადებში.
4. დაევალოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის და ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლებს:

ა) სასწავლო პროცესის ორგანიზების მიზნით, კოორდინატორების ჩართვით უზრუნველყონ ონლაინ სამუშაო ჯგუფების ფორმირება;

ბ) უზრუნველყონ სტუდენტების ინფორმირება ონლაინ სამუშაო ჯგუფებთან დაკავშირებით;

გ) უზრუნველყონ სასწავლო კურსების განმახორციელებელ მოწვეულ სპეციალისტებთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებში ამ ბრძანების პირობების გათვალისწინება.

5. დაევალოს სასწავლო კურსების განმახორციელებელ პროფესორ-მასწავლებლებს:

ა) ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ონლაინ პლატფორმის მეშვეობით უზრუნველყონ სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების ორგანიზება, სასწავლო ცხრილის და განრიგის შესაბამისად;

ბ) საჭიროების შესაბამისად, შეიმუშავონ სტუდენტების დისტანციურ სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვისათვის შესაბამისი ალტერნატიული სწავლებისა და შეფასების მექანიზმები და უზრუნველყონ შესაბამისი ცვლილებების ასახვა სასწავლო კურსების სილაბუსებში, ასევე, სტუდენტთა ინფორმირება მათ შესახებ;

გ) საჭიროების შესაბამისად, უზრუნველყონ სტუდენტების როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური კონსულტაცია;

დ) სასწავლო ცხრილით გათვალისწინებული ყოველი საკონტაქტო საათის მიმდინარეობისას უზრუნველყონ ლექციის/სემინარის ჩაწერა და უნივერსიტეტის Google Drive-ზე მათთვის გამოყოფილ ადგილზე ატვირთვა;

ე) სტუდენტის პირველი შეფასება განახორციელონ სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ.

6. დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის სამმართველოს:

ა) შეიმუშავოს ონლაინ პლატრფორმის გამოყენების ინსტრუქციები და რეკომენდაციები უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის;

ბ) განახორციელოს დაგეგმილი ცხრილის შესაბამისად საკონტაქტო საათების ონლაინ რეჟიმში ჩატარების უწყვეტი მონიტორინგი;

გ) ზედამხედველობა გაუწიოს გაცდენილი საკონტაქტო საათების აღდგენას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7. საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უმოკლეს ვადებში შეიმუშაოს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოახდენს უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასებას, საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას და გენერირებას.

8. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ყოველდღიურად უზრუნველყოს:

ა) დისტანციური სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ხარვეზების წარმოჩენის და დაუყოვნებლის აღმოფხვრის მიზნით;

ბ) უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების კონსულტირება, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში;

გ) უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების მუდმივი გამართულობა და უხარვეზოდ ფუნქციონირება, დისტანციური ლექციების საუნივერსიტეტო სივრციდან ჩასატარებლად, შესაბამისი საჭიროების არსებობის შემთხვევაში.

9. პროფესორ-მასწავლებლების შრომის ანაზღაურება განხორციელდეს მხოლოდ ამ ბრძანების პირობების შესაბამისად ლექცია/სემინარების ჩატარების შემთხვევაში.

10. ბრძანება გასაცნობად და მათთვის განკუთვნილი ამოცანების შესასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და თანამდებობის პირს.

11. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ბრძანების განთავსება.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

ბოდბელი მთავარეპისკოპოსი
მეუფე იაკობი (იაკობიშვილი) + მეუფე იაკობი

ANDREW THE FIRST-CALLED GEORGIAN UNIVERSITY OF PATRIARCHATE OF GEORGIA
NIUSHI ST 20522302